საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

№ 01-10/5013

"29" დეკემბერი 2011 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თავმჯდომარეს ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

"კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, გიგზავნით აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ №213 კონკურსის ხელშეკრულებას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით.

პატივისცემით,

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე თ. გაბაიძე

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119
ტელ: (84 22) 27 35 10;
ფაქსი: (84 22) 27 66 71
www.mofea.ge

6018, 119 Komakhidze str., Batumi, Georgia
Tel.: (84 22) 27 35 10;
Fax: (84 22) 27 66 71
www.mofea.ge

ხელშეკრულება N 284

ქ. ბათუმი,

29 დეკემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ, **აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, მინისტრის მოადგილის თემურ გაბაიძის სახით** (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **შპს „სტუდია არსი" დირექტორის მანანა თავხელიძის სახით** (შემდგომში მიმწოდებელი), **N213** კონკურსის ჩატარების შედეგად, კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 71200000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 **შუახევის მუნიციპალიტეტში ღომას მთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსისათვის გამოყოფილი ტერიტორიის კვლევისა და გენერალური გეგმის სქემის პროექტის (კონცეფცია) შესყიდვა.**

1.2 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

1.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **15000** ლარს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი რათა დარწმუნდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 22 ნოემბრის N346 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ 2011 წლის 28 დეკემბრის N5 ოქმის საფძველზე კონკურსში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ მოწოდებული პროდუქტის შესაბამისობაში საკონკურსო მოთხოვნებთან.

2.2 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

2.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.4 შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია: ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის უფროსი: ნუგზარ ძნელაძე და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: რეზო ქათამაძე.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

3.2 გადახდის ფორმა - უნაღდო.

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება 2011 წლის აჭარის ა.რ რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით, პროექტის აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრისა.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1 დროულად და კეთილსინდიდსიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

4.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

4.3.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია;

4.4.1 აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში გადასცეს პროექტის ელექტრონული ვერსია და აკინძული 3 ეგზემპლარად (ფერადი). შესყიდულ პროექტზე არ დაუშვას მესამე პირის პრეტენზია საავტორო უფლებებთან დაკავშირებით.

4.4.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

4.5 მიმწოდებელს უფლება აქვს;

4.5.1 მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება.

5. გაუთვალისწინებელი გარემოებები (ფორს მაჟორი)

5.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურობების არსებობის პერიოდით.

5.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

5.3 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მომწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

7.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8. გამოყენებული სამართალი

8.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

9. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

9.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

9.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებლს, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	შპს „სტუდია არსი“
ტელ: (8) (422) 27-35-10	ტელ: 225 81 02
მისამართი: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119	მისამართი: ქ. თბილისი, თ. აბულაძის № 21
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „საქართველოს ბანკი“	ს.ს „თიბისი ბანკი„
ბანკის კოდი – BAGAGE22	ბანკის კოდი - TBCBGE22
ა/ნ – GE78BG0000000886744500	ა/ნ –GE09 TB062 1836080100003
საიდენტიფიკაციო კოდი - 245429200	საიდენტიფიკაციო კოდი - 205 210 136
მინისტრის მოადგილე:	დირექტორი:
/თ. გაბაიძე/ ბ. ა.	/მ. თავხელიძე/ ბ. ა.